საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოედნის კარი

მოედნის კარი, თბილისის ზღუდეში ჩრდილოეთის მხრიდან დატანებული კარი. მდებარეობდა დიღმისა (შუა) და ქვემო (იგივე წყლის) კართა შორის. როგორც ჩანს, მ. კ. თბილ. გალავანში გაჭრეს XVII ს. 30–50-იან წლებში, როსტომ მეფის დროს. კარმა სახელი მიიღო გარეთუბანში არსებული მოედნის (მეიდანი, ასპარეზი, ყაბახი, დიდი მინდორი) გამო, რ-ისკენაც იყო მიმართული. თბილ. 1735 წ. გეგმაზე №21-ით დატანილია „მეიდნის კარი ხიდით“ (ვახუშტი). XVIII ს. 40–50-იანი წლებიდან (ქვემო წყლის კარის გაუქმების გამო) ქალაქის ჩრდ. კედელში დატანებულ კართა შორის მ. კ. აღარ იხსენიება, მის ადგილას არის ზემო წყლის კარი, იგივე მოედნის წყლის კარი, რ-იც ბაგრატიონისა (ახლანდ. ჩახრუხაძის) და მუხრანის (ახლანდ. ნ. ბარათაშვილის) ქუჩათა შესაყარზე მდებარეობდა.

ლიტ. ბ ე რ ი ძ ე თ., ... და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977; ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965; თბილისის ისტორია I, თბ., 1990.

თ. ბერიძე